თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიებს

აკადემიური პოზიციების დასაკავებლად

1. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებებით:

   1.1. **კომპიუტერული მეცნიერებები - პროფესორი.**
   1.2. **ადამიანისა და ცხოველის ფიზიოლოგია - პროფესორი.**
   1.3. საერთაშორისო საჯარო სამართალი - ასოცირებული პროფესორი.
   1.4. **აკადემიურ თანამდებობებზე არჩევა განხორციელდება 4 წლის ვადით.**

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

   2.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **კომპიუტერული მეცნიერებების** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება, ასევე:

- შესაბამის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილება;
- მანქანური ხედვისა და მანქანური სწავლების მიმართულებით კვლევებში თეორიული და პრაქტიკული მუშაობის მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილება;
- მრავალმხრივი გამოცდილება ისეთი მანქანური სწავლების ალგორითმების იმპლემენტაციაში, რომელიც შეეხება მოძრავი ობიექტების სივრცულ აღმოჩენასა და მიდევნებას, ღრმა დასწავლის და ზღვრული მაქსიმიზაციის პრინციპების გამოყენების საშუალებით;
- გამოცდილება მონაცემთა ანალიზსა და მანქანური სწავლების ზოგადი ალგორითმების გამოყენაბასა და იმპლემენტაციაში;
- გამოცდილება ღრმა დასწავლის ნეირონული ქსელების ალგორითმულ იმპელემენტაციაში, კლასიფიკაციისა და მრავალგანზომილებიანი სივრცითი ინფორმაციის დამუშავებაში;
- ინგლისური ენის ცოდნა;
- ბოლო 10 წლის განმავლობაში სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები;

უპირატესობა მიენიჭება:

- უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას.

   2.2. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ადამიანისა და ცხოველის ფიზიოლოგია** - მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 7 წლის გამოცდილება, ასევე:

- ადამიანისა და ცხოველის ფიზიოლოგიის მიმართულებით კვლევებში თეორიული და პრაქტიკული მუშაობის მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილება;
- ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებულ კვლევებში მონაწილეობა ან/და გამოქვეყნებული პუბლიკაციები;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა;
  უპირატესობა მიენიჭება:
- უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას;

   2.3. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **საერთაშორისო საჯარო სამართლის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან

მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და ასევე:

- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების გამოცდილება ისეთ საგნებში როგორებიცაა „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, „შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედი სამართალი“, „ფილიპ ჯესაპის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესების შეჯიბრი“;
- საერთაშორისო საჯარო სამართლის მიმართულებით კვლევებში თეორიული და პრაქტიკული მუშაობის მინიმუმ 6 წლიანი გამოცდილება;
- საერთაშორისო საჯარო სამართლის მიმართულებით ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებში გუნდების ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა;
- უპირატესობა მიენიჭება უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას

3. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით, განხორცილებული პროექტებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
4. განცხადებების მიღების ვადად განისაზღვროს **2024 წლის 7 აპრილიდან - 2024 წლის 11 აპრილის ჩათვლით;**
5. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:
   5.1. ბიოგრაფია (CV);
   5.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
   5.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
   5.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
   5.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;
   5.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   5.7. ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ნასამართლეობის შესახებ.
6. დოკუმენტაციის მიიღება განხორციელდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - **https://form.jotform.com/240652489615463**
7. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე საჭიროების შემთხვევაში ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.
8. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2024 წლის 12 აპრილიდან - 2024 წლის 16 აპრილის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2024 წლის 17 აპრილიდან - 2024 წლის 22 აპრილამდე.**

9. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე.

10. საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: 0131, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი
ვებ-გვერდი: www.freeuni.edu.ge
ელ.მისამართი: vacancy@freeuni.edu.ge